# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 113 ოთხშაბათი, 11 დეკემბერი, 1918 წ. № 113



მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82



ყოველ-კვირეული ჟურნალი

## „რესპუბლიკის ჯარი“

**მესამე ნომრიდან გამოვა გადიდებული ფორმატით და განახლებული რედაქციით.**

ჟურნალისთვის ყოველგვარი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბარონის (კალოუბნის) ქ. ოფიციალურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ რედაქცია—ჟურნალ „რესპუბლიკის ჯარისთვის“. ჟურნალის „რესპუბლიკის ჯარის“ სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, გარდა უქმეებისა, 1—3 საათამდე. ჟურნალის კანტორა ღიაა—10—3 საათამდე. 1143 3—2



## სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონით (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 85-5 ოქტომბრის 1918 წ.) განსაზღვრული სენაკის მაზრისათვის საჭირო

### მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა

მოხდება სენაკის სამაზრო საერობო კრების მიერ პირველ მორიგ ყრილობაზე. ვისაც სურს კენჭი იყაროს აღნიშნულ თანამდებობაზე შეუძლიათ განცხადება გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: ახალ-სენაკი, სამაზრო ერობის გამგეობას.

1098 7—6 **სენაკის სამაზრო საერობო გამგეობა.**



## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ საბჭოს სარეკომენდაციო კომისიის დადგენილების თანახმად მომრიგებელ მოსამართლეთა კანდიდატებმა უნდა შემოიტანონ განცხადება ქვეშევრდომლობისა საქართველოს რესპუბლიკისა და სთხოვს იმ პირთ, რომელთაც სურთ მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე კენჭი იყარონ, შემოიტანონ ზემოხსენებული განცხადება ქალაქის გამგეობაში არა უგვიანეს 14-ს ამ თვისა. 1145 2—2.



## სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მაზრაში წვრილი საერობო ერთეულების არჩევნების დღედ დანიშნულია 3 იანვარი 1919 წ. (ძველი სტილით). საერობო ერთეულებად მიღებულია არსებული სასოფლო საზოგადოებები. პარტიების თუ ჯგუფებისაგან ხმოსნების კანდიდატთა სიებს საზოგადოებათა საარჩევნო კომისიები მიიღებენ 2 იანვრამდე 1919 წ. (ძველი სტილით).
თავმჯდომარის მოადგილე გრ. ციქვაშვილი. 1142 3—2



## სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა

ამით აცხადებს, რომ სიღნაღის მაზრაში ახარჩევია

### მომრიგებელი მოსამართლენი

შემდეგს სამოსამართლო უბნებში: 1) სიღნაღის უბანი—ბინა ქალ. სიღნაღში, 2) მაჩხაანის უბანი—ბინა სოფ. ქვ.-მაჩხაანში, 3) შირაქის უბანი—ბინა სოფ. თუქურმიშში (დედოფლის წყარო), 4) ალაზნ გაღმა მხრის უბანი—ბინა ს. ვარდისუბანში (ყოფილი ვორონცოვკა), 5) გურჯაანის უბანი—ბინა ს. გურჯაანში, 6) ქოდალოს უბანი—ბინა სოფ. კაჭრეთში. ჯამაგირი მომრიგებელ მოსამართლეთ გადიდებული აქვს ერობის მიერ. **უბნის მომრიგებელ მოსამართლეს მიეცემა თვეში 900 მან. ყრილობის თავმჯდომარეს თვეში**—1000 მან. მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნები მოხდება სამაზრო ერობის დეკემბრის სესიაზედ. ვისაც სურს არჩეულ იქნეს მოსამართლედ განცხადება, დოკუმენტები და curriculum vitae უნდა გამოგზავნოს ერობის სახელზე: სიღნაღი, სამაზრო საერობო გამგეობას. 1095 5—5



## ქართული ტექნიკური საზოგადოების

### კრება

შესდგება დღეს, 11 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ფრეილინის ქუჩა, № 11.

განსახილველი საგანი: გამგეობის მოხსენება წლიური სამოქმედო პროგრამის შესახებ. 1145 1-1



## სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ოთხშაბათს, დეკემბრის 11-ს საბანეევას, მოროზოვას, ზალიპსკისა და ნიკოლსკის მონაწილეობით

### გოფმანის ზღაპრები.

დირიჟორი ორდა. დასაწყისი საღამოს 7½ საათ. ბილეთები გაყიდულია. ხუთშაბათს, დეკემბრის 12, სახალხო გვარდიის დღეს I „პაიაცები“ II საბანეევას და ორდას მონაწილეობით რიგოლეტო „(III აქტი) და ბალეტი. შაბათს, დეკემბრის 14 ბ. ი. ზალიპსკის ათი წლის სცენაზე მოღვაწეობის იუბილეი „პიკის ქალი“. ჰერმანის პარტიას შეასრულებს ზალიპსკი. კვირას, დილით—ბალეტი და საბავშო ოპერები, საღამოს—შულგინას, შვამბერგის, იანსას, კაზმინის, პოლიაევის, მოლჩანოვის და ისეცკის მონაწილეობით „ნერონი.“ გამგე ს. ი. ევლახოვი. 1149



## ექიმი ი. კ. აზაკელია

### შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-ჴლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.



მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

## გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჴლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სოლენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

624. 18—18.



## საექიმო-სანიტარო განყოფილება

**სთხოვს ექიმებს, ფერშლებს და მოწყალების დებს,**

ვისაც სურსთ იმუშაონ ეპიდემიებთან საბრძოლველ რაზმებში ადგილობრივ ან პროვინციაში-ერობებში, მობრძანდნენ განყოფილების ბინაზედ ალსანუსხავათ (ქსენიევის ქ. სახლის № 10). იქვე მიიღება ცნობები სამსახურის პირობების შესახებ. 3—2


## ოფიციალური განყოფილება

### განკარგულებანი

**ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი თავმჯდომარისა.**

№ 55.

ი. გ. ქიქოძე დაინიშნა უმცროს კანდიდატად სასამართლოს თანამდებობაზე ტფილისის სასამართლო პალატაში.

№ 56.

დ. კ. ლორთქიფანიძე დაინიშნა უმცროს კანდიდატად სასამართლოს თანამდებობაზე ტფ. სასამართლო პალატაში.

№ 57.

ნ. ნ. ლომაური დაინიშნა უმცროს კანდიდატად სასამ. თანამდებობაზე ტფ. სასამართლო პალატაში.

№ 58.

ა. გ. გამბაროვი დაინიშნა უმცროს კანდიდატად სასამართ. თანამდებობაზე ქუთაისის ოლქის სასამართლოში.

№ 68.

ბოგდან მარტიროსის ძე გამაზოვი, მისი თხოვნის თანახმად, დაინიშნა უფროს კანდიდატათ სასამართლოს თანამდებობაზე ტფ. ოლქის სასამართლოში ამა წლის ოქტომბრის 16-დან.

№ 69.

მიხეილ ვლადიმერის ძე დუშმანი დაინიშნა უმცროს კანდიდატად სასამართლოს თანამდებობაზე სოხუმის ოლქის სასამართლოში,

№ 70.

დათხოვნილია სამსახურიდან-სასამართლოს თანამდებობაზე უფროსი კანდიდატები: ტფ. სასამართლო პალატაში ტერ-პოღოსოვი, უმცროსი გრაბოვსკი, ბარი, კრავჩენკო, ბაშინჯაღიანცი, ბარსოვი და ლოლაძე, ტფილისის ოლქის სასამართლოში უფროსი კანდიდატი სლოვინსკი, უმცროსი-კარპოვი და ტერ-მიქაელიანცი, რომლებიც დანიშნულ ვადაზე არ გამოცხადნენ და 4 თვის დაგვიანების საბუთებიც არ წარმოადგინეს.

№ 77.

ქ. ქუთაისის ნოტარიუსი ა. ი. ანჯაფარიძე, მისი თხოვნის თანახმად, სამსახურიდან დათხოვნილია.

№ 78.

ოჩემჩირის ყოფილი ნოტარიუსი ფ. ი. ხუსკივაძე ქუთაისის ნოტარიუსად დაინიშნა.

24 სექტემბერი, 1918 წ.

№ 116.

სამსახურიდან დათხოვნილია სასამართლოს შიკრიკი კაზინსკი, სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

№ 117.

დანიშნულ იქმნენ: ქ. ტფილისის მეოთხე მომრიგებელ განყოფილების მდივანი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე რატიშვილი—ტფილისის ოლქის სასამართლოს მდივნად; კანცელარიის მოსამსახურეებათ: ნიკოლოზ გიორგის ძე ხატიაშვილი და თამარ გიორგის ასული მაჭავარიანი. მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად, ნინო ალექსანდრეს ასული ალექსიძე. გზირის თანამდებობის აღმასრულებლად. თავისუფალი დაქირავებით კანცელარიაში ჩარიცხული არიან: ბარბარე ნიკოლოზის ასული ალექსი-მესხიშვილი, ეკატერინე იოსების ასული ვაჩნაძე, ნადეჟდა იაკობის ასული ჩიმაკაძე, ელენე ალექსანდრეს ასული დეკანოზიშვილი, ალექსანდრა კონსტანტინეს ასული შნეიდერი და მარიამ არჯევანის ასული გოგორიშვილი; ყველა ამა წლის 21 სექტემბრიდან.

№ 119.

კანცელიარიის მოსამსახურე ოლღა ლევანის ასული ლინდენი დაინიშნა მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლათ.

№ 120.

ლავრენტი ივანეს ძე შატბეროვი დაინიშნა მოენეთ ტფილისის ოლქის სასამართლოში.

№ 121.

დათხოვნილია სამსახურიდან სურამის პირველი მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული ბახუტოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 123.

სურამის მეორე მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაულს ევალება განაგოს პირველი მომრიგებლი განყოფილებაც.

№ 125.

სასამართლოს ნაციონალიზაციის გამო, სამსახურიდან დათხოვნილია სალიკვიდაციოს მიცემით კანცელიარიის მოსამსახურე იაკობ სტეფანეს ძე მალიშევი.

№ 126.

თავისუფალი დაქირავებით მეორე სამოქ. განყოფილების კანცელიარიაში მიღებულია ელენე ნიკოლოზის ასული ჩერქეზიშვილი.

№ 127.

კანცელარიის მოსამსახურე იოსებ სოლომონის ძე ბლიაძე დაინიშნა მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლათ ამ წლის ოქტომბრის 1-დან.

128.

მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელს ჯავახიშვილს ევალება განაგოს პირველი სამოქალაქო განყოფილების პირველი სტოლი ოქტომბრის 3 დან.

№ 129.

სასამართლოს მდივანი ნეპოკოიჩიცკი, მემანქანე ფანცულაია და კანცელარიის მოსამსარენი: კორენევსკაია და ვაჩნაძე დროებით სამუშაოთ იგზავნებიან საგანგებო სასამართლოს კანცელარიაში.

№ 130.

სასამართლოს მდივნის თანაშემწე გოდერზოვი, მემანქანე, ჩაპსკაია და კანცელარიის მოსამსახურე კოშკარიოვა დროებით სამუშაოდ იგზავნებიან საგანგებო სასამართლოს პროკურორის განკარგულებაში.

№ 132.

პირველ სამოქალაქო განყოფილების კანცელარიაში მოსამსახურე ელენე დიმიტრის ასული ახვლედიანი დათხოვნილია მისივე თხოვნის თანახმად.

№ 133.

ბარბარე ლუარსაბის ასული მალალაშვილი თავისუფალი დაქირავებით მიღებულია I სამოქ. განყოფილების კანცელარიაში.

№ 135.

ტფილისის ნოტარიუსი ბოტეზატი, ავათმყოფობის გამო თანამდებობიდან განთავისუფლებულია და მისი მოვალეობის ასრულება ევალება ანტონ კარპისძე ნესტოროვსკის.

№ 180.

ტფილისის ოლქის სასამართლოს სამაზრო განყოფილების სასამართლოს ბოქაული პეტრენკო-ტკაჩენკო სამსახურში გამოუცხადებლობის გამო, დათხოვნილია სამსახურიდან 1918 წ. ნოემბრის 15-დან.

№ 181.

ტფილისის მაზრის მომრიგებელ განყოფილების მდივანი დავით თუშმალოვი დაინიშნა ტფ. ოლქ. სასამ. ბოქაულად სამაზრო მომრიგებელ განყოფილებაში.

სასამართლოს უფროსი თავმჯდომარე
მ ღ ვ დ ლ ი შ ვ ი ლ ი.

## არა ოფიციალური განყოფილება

# მთავრობაში.

### მისალმებანი.

მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოსამსახურე ფარმაცევტთა პირველი ყრილობა მოვალეთ სთვლის თავის თავს თქვენის სახით უძღვნას გულწრფელი სალამი რესპუბლიკის მთავრობას, როგორც დემოკრატიის საუკეთესო იდეალების გამომხატველს. ყრილობამ დაადგინა გამოგიცხადოთ თქვენ სრული ნდობა და აღგითქვათ თავის მცირე ძალებით ყოველგვარი შემწეობა.

ყრილობის თავმჯდომარე ჩ ი ჩ უ ა.

—

მთავრობის თავმჯდომარის სახელზე ახალციხიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა: ძველი საქართველოს ცენტრიდან თქვენ და მთელ საქართველოს მოგილოცავთ მესხეთის და ჯავახეთის სისხლის დაუღვრელად შემოერთებას, რაც მოხდა საქართველოს მთავრობის სიბრძნისა და კაცთმოყვარეობით. მთელ გზაზე ახალციხემდე მცხოვრებნი აღფრთოვანებით ესალმებოდა ჯარს, გისურვებთ სიცოცხლეს და გამარჯვებას მრავალ ჟამიერ. გენ. მაყაშვილი.

### ბოროტმოქმედებისათვის პასუხისგების კანონ-პროექტი.

მიენდოს იუსტიციის მინისტრს შეიმუშაოს მთავრობის შემდეგი სხდომისათვის კანონ-პროექტი მოხელეთა საგანგებო სამართალში მიცემისა მექრთამეობისა და საერთოდ სამსახურში ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის.

### სპეციალური კომისია.

მთავრობის თავმჯდომარის წინადადება სპეციალური კომისიის არჩევაზე პარლამენტის მიერ მთავრობის დასახმარებლათ, როგორც ამ საქმეებში, ისე საზოგადოთ მართვა-გამგეობის მოსაწესრიგებლათ პრინციპიალურათ მიღებულ იქმნას, ხოლო დაწვრილებით შემუშავება იმისა, თუ რა სახისა უნდა იქმნეს ეს კომისია, გადაიდოს მთავრობის შემდეგი სხდომისათვის და ამ მიზნით დაეგზავნოს ყველა უწყებათ პირი მთავრობის თავმჯდომარის მიერ მოხსენებულ პროექტისა ხსენებული კომისიის დებულების შესახებ.

### შეშის ჩამოტანის ნებართვა.

ნება მიეცეს ქ. ტფილისის შეშის საწყობების მეპატრონეთ შეშა ტფილისში რკინის გზებით ჩამოიტანონ და გაჰყიდონ.

### დახმარება.

სახელმწიფო ხაზინიდან სამღვდელოებისთვის შემწეობის აღმოსაჩენათ, საკათედრო ტაძრებისა და საკათალიკოსო დაწესებულებათა შესანახათ მომავალ წლის 1 იანვრამდე 1,891,975 მანეთი გადაიდოს.

### ჭიათურის მრეწველთა საჭიროებისათვის

მთავრობის 28 ნოემბრის სხდომის ჟურნალში, მუხლი 5 ლიტ. ა. სადაც დადგენილებაა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საჭიროებისათვის 500,000 მანეთის კრედიტის გახსნის შესახებ, წაშლილ იქმნას სიტყვები: „იმ თანხიდან“, რომელიც მის განკარგულებაში იყო გადიდებული მრეწველობის დასახმარებლათ და მათ მაგიერ ჩაიწეროს: „ათ მილიონიან ფონდიდან“.

# შინაგან საქმეთა სამინისტროში

### დახმარება ლტოლვილთ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სიღნაღის მაზრაში ს. ს. ახალცოდნის და ბოდბეში დასახლებულ ჯავახელ ლტოლვილთა 260 ოჯახის რწმუნებულთ მიმართეს თხოვნით შინაგან საქმეთა სამინისტროს და სთხოვეს ვაგონების დათმობის და შემწეობის აღმოჩენის შესახებ. პირველ სოფლის ლტოლვილთ დაეთმოთ 20 ვაგონი, მეორეთ ხუთი. მათვე მიეცათ ფული ურმების დასაქირავებლათ სადგურ წნორის წყლამდე.

# გზათა სამინისტროში.

### ტვირთის მიღების შეჩერება.

სადგ. მოლითაზე ოსმალთა სასანიტარო მატარებლის დამსხვრევის გამო, საქართველოს რკინის გზებზე, განსაკუთრებულ განკარგულებამდე დეკემბრის 7-დან შეწყვეტილია ტვირთის მიღება სამგზავრო მატარებელზე და აგრეთვე მალე წასახდენი ტვირთისა საქონლის მატარებელზე.

### სადგურების იჯარით გაცემის საკითხი.

რკინის გზის უფროსის მოადგილემ ინჟ. კონგემ აცნობა გზათა სამინისტროს, რომ სადგურების იჯარით გაცემის უფლება შედის რკინის გზის გამგეობის საბჭოს კომპეტენციაში და არა რკინის გზის მთავარ კომიტეტის სასურსათო კომისიისა.

### თავრიზის რკინისგზის შესახებ.

თავრიზის რკინის გზის გამგემ ინჟ. მამაცაშვილმა შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა გზათა მინისტრს: „თავრიზის რკინის გზა ოსმალთა მიერ დაკავებული ამა წლის თიბათვეში ამ ჟამად განთავისუფლებულია ოსმალთა მიერ, მაგრამ მათ გაზიდეს გუმბრსა და ყარსში მთელი ქონება ამ გზისა: ორთქლმავალები, ვაგონები, მექანიკური ნაწილები და მოკაზმულობანი და საავტომობილო გარაჟი. საცხოვრებელი ბინები სრულიად დანგრეულია. ლიანდაგი ალაგ-ალაგ აყრილია და დაზიანებული და თხოულობს შეკეთებას. მივდივარ მოხსენებით ღენ. ტომსონთან. გთხოვთ სასწრაფოთ ბრძანება გასცეთ ამ ქონების დაბრუნების შესახებ და გამოგზავნოთ ტფილისში საქართველოს რესპუბლიკის სახელოსნოებში შესაკეთებლათ. გენ. ტომსონს ვსთხოვ საგანგებო კომისიის დანიშვნას.

### ტოლსტონოგოვის დეპეშა.

გზათა სამინისტროს საექსპლოატაციო ნაწილის უფროსი ტოლსტონოგოვი დეპეშით იტყობინება ბაქოდან შემდეგს:

„გთხოვთ უბოძოთ განკარგულება, რომ ბათუმში მოკავშირეთათვის 6 ცისტერნი ბენზინი გაატაროთ. ხვალ იგზავნება ტფილისში ზნაკოზინი და საცილინდრო ზეთი. მაქვს ნებართვა 2 ცისტერნა მანქანის ზეთის გამოსაგზავნათ. ამ დღეებში მოემგზავრება ტფილისში ადერბეიჯანის რკინის გზის თავმჯდომარე, წარმომადგენელი მათ რკინის გზათა მოძრაობის საკომერციო და სამექანიკო ნაწილების საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზებთან კონვენციის დადების შესახებ პირდაპირ სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლის დაწყებისათვის და იმ წესდებების შესამუშავებლათ თუ რა რიგით უნდა მოხდეს მატარებელთა ერთი გზის მეორეზე გაცვლა გადატანა.

### რეკვიზიციის შესახებ.

კახეთის რკინის გზის სამმართველო გვთხოვს გამოვაცხადოთ:

გაზ. „საქ. რესპ.“ № 111-ში მოთავსებულია ცნობა თელავის სადგურზე სამხედრო სამინისტროს კუთვნილ შეშის თვითნებობითი რეკვიზიციის შესახებ. ეს ცნობა სიმართლეს ეწინააღმდეგება და კახეთის რკინის გზას არც ერთ მთავრობის დაწესებულების კუთვნილ შეშის რეკვიზიცია არ მოუხდენია.

### ჯვრის უღელტეხილზე.

გზატკეცილების სამართველოს უფროსი ტელეფონოგრამით ატყობინებს, რომ ჯვრის უღელტეხილიდან კობამდე თოვლი მოსულა 4 გოჯიდან 10 გოჯამდე. მიღებულია ყველა ზომები გზების საჩქაროთ განწმენდისათვის.

### განჯის სადგურის მოქმედება.

რკინის გზის უფროსმა გზათა მინისტრს შემდეგი ტელეფონოგრამა გაუგზავნა: „განჯის სადგურმა სრულიად შეწყვიტა საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის გამგეობის დეპეშების მიღება. ხელში ჩაიგდო პირდაპირი მავთულები და ნებას არ გვაძლევს ვისარგებლოთ მავთულით და გადავსცეთ სასწრაფო დეპეშები. ამნაირათ ბაქოსთან მოძრაობა მართალია ნორმალურათ სწარმოებს, მაგრამ სად. განჯა მუშაობს საქართველოს რესპუბლიკის ხელის შესაშლელათ, ამ მავთულს განსაკუთრებულათ ინახავს. ჩვენი რკინის გზის გამგეობაში გადასაცემი კორესპონდენცია მთელ კვირაობით აწყვია. მოგახსენებთ რა ამას გთხოვთ თქვენს დახმარებას ნორმალურ ტელეგრაფის მოძრაობის აღდგენისათვის ადერბეიჯანის რესპუბლიკასთან.

### გაეროვნება რკინის გზაზე.

გზათა მინისტრმა ბრძანება გასცა, რათა იანვრის პირველიდან საქართველოს სახელმწიფოში რკინის გზებზე ყოველგვარი საქმეები ქართულ ენაზე სწარმოებდეს. საქართველოს საზღვრებში ბლანკები, ბილეთები და სხვა ქაღალდები ქართულად უნდა იყოს დაბეჭდილი, ხოლო საზღვარ-გარეთის—ქართულათ და რუსულათ.

### ერობის შესახებ თათბირი.

დღეს, 11 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროში დანიშნულია თათბირი საერობო გზების გადაცემის შესახებ ერობის განკარგულებაში. თათბირზე მოწვეულ არიან სამინისტროების და ერობათა წარმომადგენელნი.

### ისტორიული ნაშთების დაცვა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაავალა ტფ. გუბერნიის კომისარს, რომ მიღებულ იქმნას საჭირო ზომები დავით გარეჯის და იოანე ნათლიმცემლის ისტორიულ ნაშთების დასაცავათ უპასუხისმგებლო ბრბოებიდან, სახელდობრ თითოეულ მონასტერს მიეცეს ოთხ-ოთხი შეიარაღებული დარაჯი.

### საგანგებო დანიშნულება,

სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილის უფროსი ვალ. მგალობლიშვილი და ექიმი მეუნარგია საგანგებო მინდობილობით მიემგზავრებიან ხონში.

# მიწათ-მოქმედების სამინისტროში

### შეკითხვა.

მიწათ-მოქმედების მინისტრმა ტელეფონოგრამით სთხოვა გზათა მინისტრს აცნობოს, რომელ სადგურზე რამდენი და რა ზომის შეშას უყვეს უკანონო რეკვიზიცია რკინის გზის აგენტებმაო.

# სახალხო განათლების სამინისტროში

### რ ე ვ ი ზ ი ა.

განათლების სამინისტრო შეუდგა მთავრობის საშუალო სასწავლებელთა რევიზიას.

### საყოველთაო სწავლა განათლება.

განათლების სამინისტრო უკვე შეუდგა და სასწრაფოდ ამზადებს საყოველთაო სწავლების შემოღების გეგმას.

### სკოლების დათვალიერება.

ამ მოკლე ხანში დაბალ სასწავლებელთა მთავარი გამგე მიემგზავრება რესპუბლიკაში არსებულ სახალხო სკოლათა დასათვალიერებლად.

### სახალხო სკოლის ტიპის გამომუშავება

ამ მოკლე ხანში შესდგება კომისია, (სამინისტროს წევრთა, პარლამენტის განათლების სექციისა და ერობათა წარმომადგენელთაგან) რომელიც შეუდგება სახალხო სკოლის ტიპის გამომუშავებას.

# საგენერალ-გუბერნატოროში

### ბ. ყარალაშვილის განმარტება.

გენ.-გუბერნატორ ყარალაშვილმა შემდეგი განმარტება დაგზავნა რკინის გზის უფროსის და ლიანდაგის ყველა უფროსთა სახელზე: „რკინის გზის დარაჯთა რაზმის წევრნი სარგებლობენ უფლებით ყველა მატარებლებზე საქართველოს რესპუბლიკაში თანახმად § 71. რათა მათ გულდასმით შეასრულონ დავალებული საქმე, გთხოვთ არ შეაფერხოთ ისინი სამსახურის ასრულების დროს. ამ რაზმის ოფიცერთ ყველა მატარებლებზე ეძლევა უფლება მოგზაურობისა, ქვეითა ჯარისკაცთ კი ყველა მატარებელზე გარდა სწრაფისა. სასწრაფო და პლაცკარტიან მატარებლებზე იკავებენ ისინი მხოლოდ თავისუფალ ადგილებს ისე, რომ მგზავრები არ შეაწუხონ. ამნაირივე განმარტებას ექვემდებარება სარკინისგზო მილიცია.

### გვარდიის დღესათვის.

გენერალ-გუბერნატორ ყარალაშვილმა რესპუბლიკის ლიანდაგის ყველა უფროსთა სახელზე ბრძანება გასცა, რომ სახალხო გვარდიის დღესასწაულის დღეს ზეიმის ხელმძღვანელთ ყოველ-გვარი დახმარება აღმოეჩინოთ. აგრეთვე ფიცხლათ ადევნონ ფვალყური, რომ წესრიგი იქმნას დაცული და ექსცესებს ალაგი არ ჰქონდეს ამ დიად დღესასწაულის გადახდის დროს.

# სასურსათო საბჭოში

### გერმანიის საინტენდანტოს მოწმობანი და დასტურები.

გერმანიის დელეგაციის საინტენდანტომ აცნობა სასურსათო საბჭოს, რომ ყველა მოწმობანი და დასტურები გერმანიის დელეგაციის საინტენდანტოს მიერ გაცემული ამიერ კავკასიაში და მის სასურსათო ნაწილის მიერ სურსათის შესყიდვის შესახებ საქართველოში ძალაში აღარ შედისო.

—

# მდგომარეობა თელავის მაზრაში

მაზრაში დღითი-დღე სიწყნარე მყარდება. 1903 წლიდან დაწყებულ ყაჩაღთა ბრბოს თავხედობას ბოლო ელება. მცხოვრებთა სიხარულს საზღვარი არა აქვს. 6 დეკემბერს თელავში დაბრუნდა დროებითი ღენერალ-გუბერნატორი ბ-ნი მაღლაკელიძე, მას ხალხი აღფრთოვანებით შეეგება. მთელ მაზრას გამოცოცხლება და განახლება ეტყობა. უწინ, როცა ქუჩაში გამოსვლა საშიში იყო ამ ნაძირალების წყალობით, დღეს ღამეც უშიშრად შეიძლება ქუჩებში სიარული. იარაღი თითქმის ყველამ ჩააბარა გარდა ორი სოფლისა. ხალხი იარაღის ჩაბარებას სრულიად არ ნანობს, რადგანაც დიდიხანი არ არის მას შემდეგ, რაც შეიარაღებული დეზერტირები შიშის ზარს სცემდნენ მცხოვრებთ. აუარებელი დეზერტირები და სამხედრო ვალდებულნი ბრუნდებიან უკანვე თავთავიანთ სამხედრო ნაწილებში, ყაზარმებში ტევაც აღარ არის. მცხოვრებნი ძალიან უწყობენ ხელს სავალდებულო დადგენილების ცხოვრებაში გატარებას. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ვინმეს ეს დადგენილება დაერღვიოს. მშვიდობის მოყვარე გლეხობა ნორმალურათ შეუდგა თავის დღიურ მუშაობას. წითელი გვარდია, რომელშიაც, ბევრი არა საიმედო პიროვნებანი აღმოჩნდნენ და წითელ გვარდიის ტყავში გახვეულმა ბნელმა ძალებმა გაუტეხეს სახელი, სახალხო გვარდიას, რომელიც სისხლსა ღვრის და დარაჯობს ჩვენს რესპუბლიკას და რევოლიუციას, დღეს ახალ ნიადაგზე მყარდება და სდგება შეგნებულ და კეთილსაიმედო პირთაგან. ბ-ნი მაღლაკელიძე შეუდგა აგრეთვე მტკიცე და საიმედო სამაზრო მილიციის მოწყობას. დაჭერილ ავაზაკთა საქმეებს ამ დღეებში გაარჩევს სამხედრო, საველე სასამართლო.

ყაჩაღებთან ბრძოლაში და წესრიგის დამყარებაში ყველა პარტიები ერთათ, შეთანხმებულათ მუშაობენ; ამ მიზნით პარტიებმა დაარსეს საერთო შტაბი. თუ ასე გასტანა მშვიდობიანმა ცხოვრებამ, მოსალოდნელია, რომ სამხედრო წესები ამ ახლო მომავალში მოიხსნას.

ვინაიდან ძალიან ბევრი უჯდება ჩვენ ხაზინას შენახვა იმ სამხედრო ძალებისა, რომლებიც იმყოფება გენერალ-გუბერნატორის განკარგულებაში, ამიტომ ღენერალ-გუბერნატორმა ბ. მაღლაკელიძემ დაადო სამხედრო გადასახადი 200,000 მანეთი მდიდარ მცხოვრებთ; ამ თანხიდან 100,000 მანეთი გადახდება ქ. თელავს, დანარჩენი 100,000 მანეთი კი მაზრას; ამის განაწილება ქ. თელავში ევალება ქალაქის თვითმართველობას, მაზრაში კი სამაზრო კომისიას. ბ-ნი მაღლაკელიძე მოითხოვს, რომ ეს განკარგულება სასწრაფოდ იქნეს შესრულებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხვალ სახალხო გვარდიის დღეა

## კანონ-პროექტები

**ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისა.**

1. შემოღებულ იქნეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იმ საფუძველთა თანახმად, რომელიც დადგენილია სასამართლო დაწესებულებების დებულებათა (დრ. მთავრობის 1917 წლის სექტემბრის 21-ის რედაქციით) და სისხლის სამართლის წარმოების წესდებით, იმ ცვლილებით და დამატებით, რომელიც აღნიშნულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებაში.

2. დროებით, რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს შემოღებამდე, უფლებანი და მოვალეობანი ამ სასამართლოსი თანახმად ამ დებულების II ნაწილის 1 მუხლისა, მიენიჭოს სასამართლო პალატას.

3. დაევალოს იუსტიციის მინისტრს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დაჩქარებით შემოსაღებად არა უგვიანეს 1919 წ. აპრილის 1-სა თავის უფლებით განსაზღვროს დრო და ვადა ნაფიც მსაჯულთა ასარჩევათ სათანადო სიების შედგენისა.

## ინგლისური პრესის ცნობა.

(საქ. დეპ. სააგ.)

**შეტაკება ბერლინში.**

ბერლინში მდგომარეობა ჯერ კიდევ გამოურკვეველია, მაგრამ როგორც ეტყობა ერთი მეორეს ებრძვის ორი ტენდენცია: პირველი— სპარტაკული მოძრაობა, რომელიც მთელი ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას ლამობს და მეორე—ჯარის მოძრაობა უკიდურეს სოციალისტების წინააღმდეგ. ლიბკნეხტის მიერ განძრახული გადატრიალება, როგორც სჩანს, ვერ მოხერხდა. სპარტაკელებს და მთავრობის ჯარებს შეტაკება მოუხდათ, რომლის დროსაც ტყვიის მფრქვეველებს დ ყუმბარებს ხმარობდენ. მთავრობის ჯარის ზარალი მცირეა.

**ამერიკის ჯარის გადაყვანა.**

ინგლისის ნავოსნობის კონტროლიორი იუწყება, რომ ამერიკის ჯარის 60 პროც. ინგლისის გემებზე იქმნა გადაყვანილი, რისთვისაც სამგზავრო გემები იქმნა გამოწვეული სამხრეთ აფრიკიდან, რომელთანაც ვაჭრობა ფაქტიურათ შესწყდა. აგრეთვე გამოწვეულ იქმნა სამგზავრო მატარებლები ინდოეთიდან და ავსტრალიიდან; ამის გამო ჩვენი იმპორტის დანაკლისი ერთ მილიონ ტონს აღემატება.

**რეინზე გადასვლა.**

ლლოიდ ჯორჯი იუწყება რომ ბრიტანიის არმია რეინზე გადავიდა.

**პრეზიდენტი ვილსონი.**

პრეზიდენტი ვილსონი პარიზში მომავალ შაბათს მივა, პარასკევს ბრესტში იქნება.

**მოკავშირეთა კონფერენცია.**

გადაწყვეტილია, რომ მოკავშირეთა კონფერენცია წინასწარ დროებითი ზავის შესახებ გაიხსნება პარიზში, 16 დეკემბერს. კონფერენცია დაახლოვებით იანვრისთვის დასრულდება. დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ მოლაპარაკებას დაესწრება გერმანიის წარმომადგენელი და საბოლოო ხელშეკრულობას ხელს მოაწერენ აპრილის დამლევს, ან მაისის დასაწყიში.

## გერმანული პრესის ცნობა.

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

**საფრანგეთი და გერმანია.**

ნორვეგიული გაზეთი „დაგბლადეტი“ შეთანხმების სახელმწიფოთა უზომო მოთხოვნილებათა შესახებ სწერს: ვიდრე საფრანგეთი იბრძოდა თავისი არსებობისა და უფლების დასაცავათ, ფრანგებს არავინ ამტყუნებდა ომის წარმოებისთვის. ამიტომ ომის დროს მთელი კაცობრიობა საფრანგეთს თაუნაგრძნობდა. არც დღეს კიცხავენ საფრანგეთს თავისი საზავო პირობების წამოყენებისათვის. მაგრამ საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებმა ახლა ისეთი მოთხოვნილებანი წამოაყენეს, რომელნიც ყოველ შესაძლებლობას აღემატება. დროებით ზავის პირობების დაჟინებით ცხოვრებაში გატარება, და აგრეთვე საფრანგეთის მთავრობის მიერ მიღებული ზომები და საფრანგეთის ბურჟუაზიულ პრესის მიერ გერმანიის რესპუბლიკის კიცხვის საშუალება იმის მაჩვენებელია, რომ ფრანგებს სწადია ისევ დაშალოს და გაანადგუროს რეინის კავშირი და მასთან ერთად მთელი გერმანია, როგორც დიდი სახელმწიფო. მიუხედავათ დიდი დაბრკოლებებისა გერმანიის მთავრობა სათანადოთ მოქმედებს. ჯარების ევაკუაცია წესიერათ და ჩინებულათ ჩატარდა.

გერმანიის მთავრობის მთელი აპარატის თითქმის დაუბრკოლებლივ აწარმოებს თავის მუშაობას. თუ ადგილი არ ექმნა დამრღვევ გავლენას გარედან, ახალი გერმანიის სახელმწიფო მოკლე ხანში ეროვნულ ყრილობის და კანონიერი მთავრობის სახით კვლავ აღსდგება და ომის შემდეგ უფრო ძლიერი შეიქმნება. სამწუხაროდ, სეპარატისტული ტენდენციები ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ დამფუძნებელ კრების სიდიადის წინაშე ძალას ჰკარგავს. საერთო სოციალისტურ ახალ ორიენტაციისკენ მისწრაფება იმედს გვაძლევს, რომ მიუხედავად შიმშილისა და გაჭირვებისა გერმანია სულ მოკლე ხანში მშვიდობიან ცხოვრებას მიაღწევს.

**ჩეხო-სლოვაკები**

ჰუნგრეთის სამხედრო სამინისტროს ცნობით, ჩეხო-სლოვაკები სოფლებსა და ქალაქებში სახალხო ხმის მიცემას აწყობენ ჩეხო-სლოვაკების სამეფოსთან შეერთების შესახებ. ხმის მიცემის შედეგი ზოგიერთ ადგილებში ჩეხების იმედებს ვერ ამართლებს, რადგან მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს სურს ჰუნგრეთის სამეფოში დარჩენა და ჩეხო-სლოვაკებთან შეერთების შესახებ უარს აცხადებს. ამისდა მიუხედავათ ჩეხო-სლოვაკები განაგრძობენ მოქმედებას. რამდენათაც ვიცით მათ არ სურთ მოუცადონ სამშვიდობო კონფერენციის გადაწყვეტილებას და სურთ ჯერ კიდევ დროებითი ზავის დროს მათ ხელში იყოს ზემო-ჰუნგრეთის ნაწილი.

**„სპარტაკის“ მომხრეებთან შეტაკების გამო.**

ბერლინის დილის გაზეთები ერთხმად კიცხავენ გუშინდელ ამბებს. „პოსიშე-ცაიტუნგი“ აღნიშნავს გუშინდელსა და 9 ნოემბ. ამბების განსხვავებას. 9 ნოემბ. არც ერთი თოფი არ გავარდნილა რევოლიუციის და ხალხთა აჯანყების წინააღმდეგ. გუშინ კი უკანასკნელთა საწინააღმდეგოთ სროლა იყო. ჯარის-კაცთ არ შეეძლოთ დაგვიანება, როცა ხედავდნენ, რომ ახალი წესწყობილება და რევოლიუციის მონაპოვარნი განსაცდელშია. სპარტაკის ჯგუფი უნდა დარწმუნდეს, რომ გერმანიის ხალხის უმეტესობას და ჯარს არ სურს დაჰკარგოს უმცირესობის ძალით გაბატონებისათვის რევოლიუციის მონაპოვარი. დანარჩენი ბურჟუაზიული გაზეთებიც აღნიშნავენ, რომ გუშინდელი ამბები იმის მაჩვენებელია, რომ ჯარის-კაცთა დიდი უმეტესობა მთავრობის მხარეზეა და ახალ რესპუბლიკის წესრიგის უზრუნველყოფა სურს. „ფორვერტსი“ მოითხოვს დამნაშავეთ-დასჯას და ამბობს: მთავრობამ შეასრულა თავისი ვალი და დაამტკიცა, რომ რევოლიუციისგან შექმნილ პირობებს ის უყურებს, როგორც დროებითს და რომლის ძალდატანებით შეცვლას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს. მთავრობის ლოზუნგია [არა სამოქალაქო ომი, არამედ ხალხთა უფლება და წესრიგი, არავითარი უსარგებლო სისხლის ღვრა არ უნდა მოხდეს.

**დროებითი ზავის პირობის გამო.**

ინგლისის უკანასკნელი მოთხოვნილება, რომ უკანვე დაუბრუნდეს მას გერმანიაში დაკავებული გემები, მთელი გერმანიის პრესის აზრით სრულებით ეთანხმება დროებითი ზავის პირობებს და მათ მოთხოვნილებებს აღემატება. გაზეთების შეხედულებით ეს მოთხოვნილება იმას მოწმობს, რომ ინგლისელებს და ფრანგებს სურთ უმწეო მდგომარეობაში მყოფ გერმანიას წაართვან ის, რის წართმევაც კი შესაძლებელია. იმ დეკლარაციაში, რომელიც აღნიშნავს დროებითი სავის პირობების ძალადობას, ხაზგასმითაა აღნიშნული შეთანხმების სახელმწიფოთა მოთხოვნილებების უკანონობა, რომ გერმანიის ყველა უკვე დამზადებული სამხედრო და აგრეთვე მდინარის ყველა გემი მოკავშირეებს უნდა გადაეცეს.

## საექიმო - სასანიტარო საქმე

**ხ ო ლ ე რ ა.**

ქალაქის მედიკურ-სასანიტარო ბიუროს სასტატისტიკო განყოფილების ცნობების მიერ 25 ივნისიდან, როცა ტფილისში ხოლერა გაჩნდა, აქამდე, როცა ხოლერა სულ მოისპო, ქალაქის ქსენონში მიუყვანიათ სულ 1,110 ხოლერიანი და 709 საეჭვო ავადმყოფი, რომელთა შორის 273 ხოლერიანი აღმოჩენილა. 133 მომკვდარა და 273 და 302 ავადმყოფი ხოლერიანი არა ყოფილა და გამოუწერიათ. 1,110 ხოლერიანთა შორის 664 მომკვდარა და დანარჩენი 440 მორჩენილა. ამის გარდა ქალაქის პროვექტურაში მიუტანიათ 106 გვამი ხოლერით გარდაცვლილებისა. სხვა და სხვა ქსენონებში 26 ხოლერიანი ყოფილა და მათგან 16 მომკვდარა. ამ ეპიდემიის წარსულ ეპიდემიასთან შესადარებლად მოგვყავს შემდეგი ცნობანი. 1892 წელს ხოლერით ავათ გამხდარა 516 და მათგან 313 მომკვდარა. 1893 წ. 140 ხოლერიანიდან 91 მომკვდარა. 1908 წ. 229 ხოლერიანიდან 137 მომკვდარა. 1910 წ. 558 ხოლერიანიდან 304 მომკვდარა. 1915 წ. 556 ხოლერიანიდან 281 მომკვდარა და 1916 წ. სულ 364 კაცი გამხდარა ხოლერით ავათ და მათგან 144 მომკვდარა.

**სახადი.**

ქალაქის მედიკო-სასანიტარო ბიუროს მიერ მიღებულ ცნობებისამებრ ტფილისში სახადით ავადმყოფობა დღიდან-დღეზე ძლიერდება. ამ უკანასკნელ დროში არ გადის დღე, რომ ქალაქის საავადმყოფოში 20—23 სახადიანი არ მოიყვანონ. მრავალი ავადმყოფი ამ სენით თავიანთ ბინაში არიან დატოვებულნი. სიკვდილის პროცენტი დიდია. გუშინ საავადმყოფოში იმყოფებოდა 206 სახადიანი.

**ხოლერასთან ბრძოლისთვის**

ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ განიხილა გამგეობის მიერ შედგენილი ზედ დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისა და დაადგინა ამ ხარჯთ-აღრიცხვაში მოათავსოს აგრეთვე ის ფული, რომელიც ქალაქის გამგეობას ამ წელს დაუხარჯია ზედ დამატებით ხოლერასთან საბრძოლველად და საავადმყოფოს ხოლერის განყოფილების გასაფართოებლად. სულ დახარჯულია 455,513 მ. 34 კ. ამ ჯამის მოქცევით ზედ დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა შეადგენს 5,148,969 მ. 34 კ.

**მედიკამენტების შესახებ თხოვნა.**

საქართველოს ქალაქების კავშირის საექიმო-სასანიტარო ნაწილი სთხოვს საქართველოს წითელ ჯვარს და მომრიგებელ კომიტეტს თავიანთ საწყობებიდან გადასცეს მას საჭირო მედიკამენტები იმ ფასად, რაიც მათ უღირთ 50 პროც. მომატებით.

## მილოცვა

პარლამენტის თავმჯდომარემ მასწავლებელთა კავშირის ყრილობისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის ნახევარი წლის შესრულების გამო მიიღო მისალოცი დეპეშა.

## ქალაქის გამგეობაში.

**საბჭოს სხდომა.**

ორშაბათს, 9 დეკემბერს, დანიშნული ქალაქის საბჭოს კრება არ შესდგა, რადგანაც $8^1/_2$ საათზე საბჭოს დარბაზში ხმოსანთა კანონიერი რიცხვი არ შეიკრიბა.

**საავათმყოფო კასების პროექტი.**

საქართველოს ქალაქებთა კავშირის უმთავრეს კომიტეტის სამედიკო-ნაწილი შესდგომია საავათმყოფო კასის დაარსების პროექტის შემუშავებას.

**მამულების გადაფასება.**

ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო საფინანსო კომისიამ ამოირჩია მცირე კომისია, რომელსაც შეადგენენ: ბ. ნ. სმირნოვი, ბ. მ. ბროდსკი და ვ. ვ. ბ. გოფმანი, და დაავალა მას შეიმუშაოს ქალაქის სასარგებლოთ ახალი გადასახადების დაარსების პროექტი. ამავე კომისიას დაევალა შეიმუშაოს პროექტი უძრავ მამულების გადაფასების და დასაფასებელ გადასახადების მომატების შესახებ.

**მოქალაქეთა შემოსავალზე გადასახადის დაწესება.**

ქალაქის გამგეობას განუზრახავს ქალაქის სასარგებლოთ დააწესოს ყველა მოქალაქეთა შემოსავალზე ცალკე გადასახადი, რომელიც 1918 წელს უნდა გადიხადონ 8 პროც., მხოლოდ მომავალ 1919 წ. ეს გადასახადი უნდა გადიდდეს 10 პროცენტამდე.

**ბინებზე დაწესებული გადასახადის გამო.**

ქალაქის გამგეობას განუზრახავს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ მის სასარგებლოდ იყოს გადაცემული ბინებზე დაწესებული გადასახადი.

## ქუთაისი

○ სისხლის სამართლის მილიციამ ქურდობის თაობაზე დაიჭირა ზებო ქოსიაშვილი.

○ ყვირილის სარაიონო კავშირის საორგანიზაციო კომისია—ამიერ კავკასიის კოოპერატივებთა კავშირის ინსტრუქტორების დახმარებით აწყობს ქ. ზესტაფონში უფასო ორ კვირეულ კურსებს მომხმარებელ საზოგადოებათა ანგარიშების შესასწავლათ პრაქტიკულათ, რისთვისაც ის იწვევს ყვირილის, ბელაგორის, ჩხარის და სვირის რაიონის ყველა მომხმარებელ საზოგადოებებს გამოგზავნონ ხსენებულ კურსებზე ორ-ორი ან სამ-სამი წერა-კითხვის მცოდნე პირნი ანგარიშების შესასწავლათ 8 დეკემბრისთვის (ახ. სტილით), კურსები გაგრძელდება ორ კვირამდე.

საჭირო ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ ქ. ზესტაფონში იოსებ გუნცაძეს.

○ სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდობაში შემჩნეული შემდეგი პირები, აბაშის მცხოვრები ვასილ ვაძაბია, სოფელ ლიფერეთის მცხოვრები ვასილ შალიკიანი, სოფ. ბაღდათის მცხოვრები ისიდორე გუმბერიძე, ქუთაისის მცხოვრებნი: რაფაილ თავდიდიშვილი, ივლიანე მიქაშავიძე, თადეოზ ქვანია, ბესარიონ გაბალაძე, ბიქტორ მამაგეიშვილი, ჭიჭინაძე და ქალაქ ონში: ზენო ქასაშვილი. ზემო ჩამოთვლილი პირები მოთავსებულნი არიან ციხეში.

○ სადგურ მუხიანში ლიანდაგზე გადასვლის დროს მოჰყვა მატარებელს და გაიჭყლიტა გრასტო ჯავახაძე. ის მაშინათვე გარდაიცვალა.

○ 21 ნოემბერს ბანძის სკოლის მორიგეს გაბუნიას უცაბედათ გაუვარდა თოფი და მოჰკლა პოსტის მილიციონერი დავით ძაძამია.

○ 20 ნოემბერს ახალ-სენაკში ასტეხა სროლა კოკი დადიანმა. სროლის დროს დასჭრა სოფლის მილიციონერი ალექსანდრე ბესელია.

○ გზათა სამინისტრო ამ ჟამად განაგრძობს ტყიბულის მუშათა ლიკვიდაციის საქმეს, რომელიც მომთავრდება დეკემბერში. სულ 1700—1400 კაცამდეა ანგარიშ გასასწორებელი. ანგარიშის გასწორების შემდეგ დაიწყება ახალი მუშაობა.

○ საგუბერნიო საადგილ-მამულო გამგეობას 15 ნოემბრამდე ჩაუბარებია და გადაურიცხავს სახელმწიფო ფონდში 57,780 დეს. და $1140^5/_6$ ოთხ. კუთხი საჟენი მიწა.

○ რაჭის კომისარი ატყობინებს გუბერნიის კომისარს, რომ მამისონის უღელტეხილს მოადგა შეიარაღებული რაზმი, რომელიც ითხოვს გაატარონ ისინი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ალექსეევის ჯართან შესაერთებლათ. გუბერნიის კომისარმა სასწრაფოთ აცნობა ეს შინაგან და სამხედრო სამინისტოებს.

○ სასკოლო კომისიის დადგენილების თანახმად ქალაქის პირველ დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლათ მოწვეულ იქნენ ერეთეოს ცხადაძე და მატარაძის ასული სირბილაძისა.

○ ქალ. გამგეობის სასურსათო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ქალაქში 29 ნოემბრიდან 27 პუნქტზე დარიგდება დამოწმებული ძველი პურის ბარათებით ოჯახზე ორი გირვანქა ნავთი. ვისაც დაკარგული აქვს ზემოხსენებული ბარათი, იმას ნავთი არ მიეცემა. ამასთანავე ორშაბათიდან ე. ი. 2 დეკემბრიდან, დაურიგდებათ ნავთი დაწესებულებებს, მხოლოდ თავიანთ საჭიროებისათვის. რაც შეეხება დაწესებულებების მოსამსახურეებს მათ ნავთი მიეცემათ ისე, როგორც ყველა მოქალაქეს, ე. ი. პუნქტზე ბარათებით.

○ შინაგან საქმეთა მინისტრი ატყობინებს გუბერნიის კომისარს, რომ თანახმად პარლამენტის მიერ მიღებულ დამფუძნებელ კრების საარჩევნო კანონისა, რესპუბლიკაში არჩევნების მთავარი ხელმძღვანელი არის პარლამენტის ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომლის განკარგულებას უნდა ემორჩილებოდეს და ასრულებდეს ადმინისტრაცია ყველაფერში, რაც საარჩევნო კომპანიის წარმოება-ჩატარებას ეხება.

ამიტომ ადმინისტრაცია უნდა დაექვემდებაროს პარლამენტის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომლის სახელით იმოქმედებს პრეზიდიუმი კომისიისა, ან მისი თავმჯდომარე ლომთათიძე.

○ სამხედრო სამინისტროსთან არსებული გენერალური შტაბი ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ მაზრის ზოგიერთი კომისრები არ ასრულებენ სამხედრო უწყების დავალებებს. ამიტომ გთხოვთ გასცეთ განკარგულებანი, რათა ადმინისტრაცია ასრულებდეს სამხედრო უწყების მოთხოვნილებებს. ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრო ატყობინებს გუბერნიის კომისარს, რომ ყველა მაზრის კომისრები პირნათლად ასრულებდნენ სამხედრო უწყების დავალებებს. ამ მხრივ სასტიკი თვალყური ადევნოს ადმინისტრაციას.

○ ქალაქის მოურავს დეპეშით სთხოვს მამისონის საუღელტეხილო რკინის გზის გამყვანი საზოგადოება, რომ 11 დეკემბერს მოიწვიოს ქალაქთა და ერობათა წარმომადგენლების კრება რკინის გზის გაყვანის შესახებ. ქალაქის მოურავმა დ. კალანდარიშვილმა ამის საპასუხოთ აცნობა ხსენებულ საზოგადოებას, რომ რადგანაც რაჭა-ლეჩხუმში საერობო არ-

ჩევნები ჯერ არ დასრულებულა, ამიტომ ეს თათბირი გადიდოს 20 დეკემბრისათვის.

◯ ახალი ჟურნალი. ამ დღეებში გამოვა ცნობილი სპეციალისტის მევენახეობა-მეღვინეობისა კ. ბერიკაშვილის რედაქტორობით ახალი პერიოდული გამოცემა „მევენახეობა და მეღვინეობა“.

◯ სისხლის სამართლის მილიციამ ქურდობისთვის დააპატიმრა მახარაშვილი, სოფ. წყნორის მცხოვრები.

◯ სადგურის მახლობლათ გაჩნდა საქონლის ჭირი. საჭიროა ამ გარემოებას ეხლავე მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ-არს სანამდის მიიღებდეს ფართო ხასიათს.

◯ როგორც მკითხველებს მოეხსენება მაზრაში დიდათ გავრცელებულია საქონლის ჭირი. ამის გამო სოფლებიდან ჩამოჰყავთ ჭირიანი საქონელი და მეყასბეებიც მუქთათ ყიდულობენ. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება.

◯ ფოთში ბოროტ-განზრახველებმა გასტეხეს ნინო სერგეევის სახლი და წაიღეს საოჯახო ნივთები, ღირებული 10,000.

◯ ქალაქის გამგეობის წევრი კ. საყვარელიძე სასურსათო საქმეების გამო გაემგზავრა ტფილისში.

◯ ქუთაისის სამაზრო-საერობო გამგეობის მიერ დაგზავნილი ექიმთა რაზმების ერთი ნაწილი უკვე დაბრუნდა. მათი გადმოცემით ეპიდემიას ძლიერ დაუკლია. ექიმთა რაზმების მოღვაწეობას სოფლელები დიდის ალტაცებით ეგებებოდნენ.

◯ მუშა-ქალთა ორგანიზაციის სკოლა „შრომა“, რომელიც არსებობდა ორპირის ქუჩაზე გადმოვიდა კომერციულ სასწავლებლის შენობაში, სადაც უკვე სწარმოებს მეცადინეობა. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ სკოლის გამგეს ნინო ბახტაძეს, ტფილის ქუჩა, საკუთარი სახლი.

# ქრონიკა

◯ 6 დეკემბერს ღამით კომისიონერთა მაღაზიიდან ა. რიბალჩენკოსი წაიღეს 15000 მანეთის სხვა და სხვა ნივთები.

◯ განსაკუთრებული კომისია, რომელსაც გერმანიაში მედიკამენტები უნდა შეეძინა, გაუქმდა.

◯ გერმანული ენის კურსებზე მეცადინეობა დაიწყება არა 9 ქრისტ. არამედ 11 ქრისტ. საღ. 6 საათზე. ჩაწერა გძელდება, სავაჟო პირველ გიმნაზიაში, პირველი შესავალი როზენოვის ქუჩ. მსურველები ჩასაწერათ უნდა გამოცხადდნენ 5 და 6 საათს შუა, აქვე. სწავლის ფული თვეში 20 მანეთი.

◯ კვირას, ქრისტეშობისთვის 8-ს, დამსწრე წევრთა სიმცირის გამო არ შესდგა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წლიური კრება და გადაიდო ქრისტეშობისთვის 15-სათვის (მომავალ კვირისათვის). კრება უნდა მოხდეს ისევ (სახელმწიფო უნივერსიტეტში] ქართულ უნივერსიტეტში) დღისით 12 საათზე. წლიური ანგარიშების გარდა დამსწრენი მოისმენენ აგრეთვე პ. ინგოროყვას შემდეგ მოხსენებებს: 1) „გრიგოლ ოშქელი, მე-X საუკუნის ქართველი მწერალი“ და 2) „გრიგოლ ხვთის მეტყველის ძველი ქართული თარგმანები.

◯ ტფილისის ოლქის სასამართლოს გამომძიებელი ბ. დ. რუსანოვი იწვევს იმ პირთ, რომლებიც 29 ღამით მიდიოდენ იზმაილოვის ქუჩაზე, ტერ-გუკასოვის ქ. ახლო, იმ დროს როდესაც იქ სროლა იყო, ან სროლის წინ, ან სროლის შემდეგ. ერთი სიტყვით, ვინც რაიმე იცის ამ სროლის შესახებ, გამომძიებელი სთხოვს წარმოადგინონ თავისი მისამართი, გვარი და სახელი გამომძიებლის კამერაში. ტელეფ. № 15—83.

◯ „განახლდა ტელეგრაფის მოქმედებანი ახალციხის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან“.

◯ როგორც ს. ყალამშიის (ბორჩალოს მაზრა) მღვდელი გ. ომარაშვილი გადმოგვცემს იქ გაჩენილა რაღაც ახალი სენი, რომელიც მუსრს ავლებს მცხოვრებთ. დიდი ზარალი მოუტანია აგრეთვე საქონლის ჭირს: გლეხს თავის უკანასკნელი მარჩენალი ხარები ეცლება ხელიდან.

◯ 8 დეკემბერს მიხეილის ქუჩაზე ასლანიანცის მაღაზიიდან ბოროტ-განმზრახველებმა მოიპარეს 14,160 მანეთის სხვა და სხვა ნივთები.

◯ 8 დეკემბერს ღამით ანდრეევის ქუჩაზე ლევვეიშვილის სახელოსნოდან მოიპარეს 3000 მანეთის ფეხსაცმელები.

◯ 12 დეკემბერს სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში მორიგი ლექციები არ შესდგება. ნაძალადევის თეატრში უნივერსიტეტის ქართულ განყოფილების თაოსნობით სერ. ქორქოლიანის ხელმძღვანელობით გაიმართება საგანგებო საღამო—წარმოდგენა, რომლის წმინდა შემოსავალი გადაეცემა გვარდიის შტაბს. სიტყვას გვარდიის მნიშვნელობაზე წარმოსთქვამს ს. ქორქოლიანი. ადგილობრივ გვარდიელთა სარევოლიუციო გუნდი შეასრულებს სიმღერებს და გვარდიელთა სცენის მოყვარეთა დასი წარმოადგენს „პატარა კახის“ მეორესა და მესამე მოქმედებას. საღამო დასრულდება აპოთეოზით: „ვაშა გვარდიას“.

◯ 8 დეკემბერს მეორე ქალთა გიმნაზიაში შესდგა საშუალო სასწავლებლის მასწავლებელთა კავშირის ყრილობა. ყრილობამ დაადგინა აირჩიოს კომისია, რომელიც უნდა გაეცნოს სამინისტროს კანონ-პროექტს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და თავისი დასკვნა წარუდგინოს შემდეგ საზოგადო კრებას, რომელზედაც არჩეულ უნდა იქნეს დელეგაცია მთავრობასთან გასაგზავნად კანონ-პროექტის დაჩქარების შესახებ.

◯ საგანგებო რაზმმა მეტეხის ციხეში № 1 კიბის ქვეშ აღმოაჩინა 4 ადლის სიგძე ხვრელი, რომელიც გაყვანილი იყო ბოროტ-მომქმედთა მიერ. ამის გამო მეტეხის ციხეში საქმის გამოსაძიებლათ მივიდნენ წარმომადგენელნი სასამართლოსი და ადმინისტრაციისა. გამოძიება სწარმოებს.

## განცხადებები

# წესდება

## კავკასიის საიმპორტო და საექსპორტო საზოგადოებისა

### § 75.

საზოგადოება პასუხს აგებს თავის კუთვნილი ქონებით, ამიტომ თუ საზოგადოებამ ვერ იხეირა ან მას ვალი დაედო, ყოველი აქციონერი პასუხს აგებს მხოლოდ მის მიერ გადახდილი თანხით. გარდა ამ თანხისა აქციონერები პასუხს ვერ აგებენ ვერც პირადი პასუხის მგებლობით, ვერც დამატებითი გადასახადით.

### § 76.

საზოგადოების არსებობა უვადოა.

საზოგადოების მოქმედება თავდება აქციონერთა საზოგადო კრების დადგენილებით შემდეგ შემთხვევებში, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც აღნიშნულ არიან მე-9 §-ში: 1) თუ საქმის ვითარების გამო მიჩნეულ იქნება საჭიროთ საზოგადოების მოსპობა და, 2) თუ საზოგადოების ბალანსის თანახმად დაიკარგება შეტანილ თანხის $^2/_5$ და აქციონერებმა არ შეავსეს დანაკარგი ერთ წლიწადში დღიდგან საზოგადო კრების მიერ იმ ანგარიშის დამტკიცებისა, საიდანაც აღმოჩნდება თანხის დანაკლისი. თუ დაიკარგა შეტანილ თანხის 25 პროც. და აქციონერთა უმრავლესობამ სურვილი გამოსთქვა დანაკლისის შევსებისა, ხოლო თუ განსაზღვრულ ვადაზე რომელიმე აქციონერმა მისი აქციების ხვედრი დამატებითი ფული არ შემოიტანა, ეს აქციები საყოველთაოდ გამოცხადდება გაბათილებულათ და მათ ნაცვლად იმავე ნომრებით გამოიშვება ახალი აქციები, რომელნიც გამგეობის მიერ მაკლერის საშუალებით გაიყიდება. აღებულ ფულიდან საზოგადოებას დარჩება ხარჯი გაყიდვისა, განცხადებისა და აქციებზე დამატებითი გადასახადი, ხოლო დანარჩენი ფული უბრუნდება გაბათილებულ აქციების პატრონს.

### § 77.

თუ საზოგადოების არსებობა მოისპო, საზოგადო კრება აქციონერებისა ირჩევს თავის წევრთა შორის სალიკვიდაციო კომისიას არა ნაკლებ სამი წევრისაგან, ნიშნავს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის თანხმობით კომისიის მუშაობის ადგილსა და საზოგადოების საქმეთა ლიკვიდაციის წესს. საზოგადო კრების დადგენილებით და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვით კომისიის ადგილი შეიძლება გადატანილ იქნას სხვა ადგილას. სალიკვიდაციო კომისია მიიღებს საბჭოსაგან და გამგეობისაგან ყველა საქმეებს, მოიხმობს უწყებებითა და განცხადებებით საზოგადოების კრედიტორებს, მიიღებს ზომებს მათს დასაკმაყოფილებლად, გაანაღდებს საზოგადოების ქონებას და შეუთანხმდება მესამე პირებს იმ ფარგლებში და იმ ნიადაგზე, რომელიც მას მიეცემა საზოგადო კრების მიერ. საჭირო თანხა დასაკმაყოფილებლად კრედიტორებისა და სადავო მოთხოვნილებათა სალიკვიდაციო კომისიას შეაქვს ტფილისის სავაჭრო ბანკში კრედიტორთა სახელზე, ხოლო ამ დრომდის არ შეიძლება დაკმაყოფილება აქციონერებისა იმ თანხებით, რომელიც საზოგადოებას დარჩება. თავის მოქმედების შესახებ სალიკვიდაციო კომისია წარუდგენს ანგარიშს საზოგადო კრებას იმ დროს, რომელსაც კრება დაუნიშნავს, ხოლო ლიკვიდაციის გათავების შემდეგ იგი წარუდგენს კრებას საერთო ანგარიშს. თუ ლიკვიდაციის გათავების შემდეგ ყველა გადასაცემი თანხები ვერ ჩაბარდა პატრონებს, რომელნიც არ გამოცხადდნენ ფულის მისაღებად, საზოგადო კრებამ უნდა დანიშნოს ამ ფულების შესანახი ადგილი და აგრეთვე გადასწყვიტოს, რას უნდა მოხმარდეს ასეთი თანხები, თუ პატრონებმა კანონიერ ვადაზედაც არ მოითხოვეს თავიანთი ხვედრი ფული.

### § 78.

ლიკვიდაციის დაწყება და მისი გათავება მოხდენილ განკარგულებათა განმარტებით უნდა ეუწყოს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს პირველ შემთხვევაში საბჭოს მიერ, ხოლო მეორე შემთხვევაში—სალიკვიდაციო კომისიის მიერ. აგრეთვე უნდა გამოცხადდეს იგივე ცნობები საყოველთაოდ და ცნობად აქციონერებისა და სხვებისა, რომელთაც დამოკიდებულება ექნებათ საზოგადოების საქმეებთან.

### § 79.

წესები ამ წესდებისა შეეხება: საბჭოსი და გამგეობის ბინას, საბჭოსი და გამგეობის წევრების სამსახურის ვადას, წესრიგს მათი სამსახურში შესვლისას და გამოსვლისას (§§ 24, 28, 35, 55), აქციათა რაოდენობას, რომელიც უნდა შემოიტანონ საბჭოს წევრებმა, გამგეობის დირექტორებმა და გამგე დირექტორებმა სამსახურში შესვლის დროს (§§ 27, 35), წესრიგს საბჭოსი და გამგეობის თავმჯდომარეთა არჩევისა (§§ 29, 35), მიწერ-მოწერა საზოგადოების საქმეების გამო და ხელის მოწერას გამგეობის მიერ გაცემულ დოკუმენტებზე (§ 42), საბჭოსი და გამგეობის სავალდებულო მოწვევას (§§ 30,35), საოპერაციო წლის ანგარიშის (§ 45), ჩვეულებრივ საზოგადო კრებების მოწვევას (§ 54), აქციონერთა წინადადებების წარდგენა საბჭოში (§ 58) და რაოდენობა ქციონერებისა, რომელიც ხმის უფლებას აძლევს აქციონერს საზოგადო კრებაზე (§ 60). ზემო აღნიშნული წესების შეცვლა შეიძლება საზოგადო კრების დადგენილებით და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის თანხმობით.

### § 80.

იმ შემთხვევაში, რომელიც ამ წესდებაში არ არის აღნიშნული, საზოგადოება ხელმძღვანელობს სააქციო საზოგადოებისათვის არსებულ წესებითა, არსებულ და მომავალ საზოგადო კანონებით.

---

## დრამატიული საზოგადოების

### გამგეობის თავმჯდომარე

ამით აცხადებს, რომ ამ წლის 15 დეკემბერს დანიშნულია საზოგადო კრება აღნიშნული საზოგადოებისა. 1092 12—4

---

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა, იწვევს 13 ნოემბერს 1916 წ. გარდაცვალებულის. მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა, კაცია გიორგის ძე ბაქრაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ბაქრაძის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. 1 ნაწ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1108 3—2

---

აიკანუშა მანუკოვის ასული კაზანჯიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა **„переходящая квитанція“** 2000 მანეთისა ამიერ-კავკასიის ბანკის მიერ მიცემული, რაც გაბათილებულად უნდა ჩაითვალოს. 1144. 3—1

---

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა, იწვევს 4 მარიამობისთვეს 1915 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა, სოლომონ მიქელას ძე ლულუნიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ლულუნიშვილის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. ნ. 1. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1110 3—3

---

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა იწვევს 9 ქრისტეშობისთვეს 1911 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. ბუნიკაურში, შორაპნის მაზრისა, იასონ, იგივე იოსებ, ბარამის ძე ბარათაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ბარათაშვილის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. I ნაწ. მე მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1105. 3—2

---

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა, იწვევს 20 მარტს 1918 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. შუქრუთში, შორაპნის მაზრისა, ტასია ოტიას ასულის ტყემალაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ტყემალაძის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. I ნ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1112 3-3

---

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესებისა, იწვევს 1 ნოემბერს 1916 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა, როსტომ ბეჟანის ძე ლულუნიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ლულუნიშვილის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. 1 ნ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1109. 3—2

---

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა, იწვევს 21 მარიამობისთვეს 1909 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა ნიკოლოზ გიორგის ძე ბაქრაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ბაქრაძის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. 1 ნაწ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1107 3—2

---

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა იწვევს 20 ნოემბერს 1916 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა, ერმალოზ ივანეს ძე ბაქრაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ბაქრაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ბაქრაძის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. I ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1106 3—2

---

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა, იწვევს 20 ნოემბერს 1913 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა, ბესარიონ მიქელას ძე ლულუნიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულ ლულუნიშვილის ქონებაზე, კან. კრებ. X ტ. ნ მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1111 3—2.

---

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა, იწვევს 26 მარტს 1910 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა, არჩილ მამუკას ძე ლომიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულ ლომიძის ქონებაზე კანონ. კრებ. X ტ. I ნაწ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1103 3-2

---

ელისაბედ ლალაევის რწმუნებული ს. მარგულოვი აცხადებს, რომ დაიკარგა ტფილისის ნოტარიუს ა. მამიკონოვის 1887 წ. აქტის წიგნიდან ამონაწერი I ნ., 59 გვ., № 90, რომელიც აღნიშნულია ტფ. ოლქ. სასამ. უფროს ნოტარიუსის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში 1887 წ. სექტ. 16. ქ. ტფილისის პირველ განყოფილებაში, ნუსხის № 1103, ელისაბედ ლალაევის სახელზე მამულის გადასვლისა, თანახმად ანდერძისა, რომელიც სისრულეში მოსაყვანად დაამტკიცა ბაქოს ოლქის სასამართლომ 1913 წ. ოქტ. 8. 3—3

---

## სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ტფილისის სასურსათო და ნივთების საწყობიდან გაიყიდება ქვემოხსენებული სურსათი, სანოვაგე და ნივთები სამხედრო მინისტრის განკარგულებით დანიშნული გენერალ-მაჰავარიანის კომისიის მიერ. მსურველთ სანოვაგის და ნივთების რაოდენობის, ღირსების და ფასის შესახებ უნდა მიმართონ კომისიის თავმჯდომარეს გენერალ მაჰავარიანს სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილების სადგომში. გასაყიდათ დანიშნულია ტფილისის სასურსათო საწყობიდან: გამხმარი ხილი, ძმარი, დაფნის ფოთოლი, გამხმარი ბოსტნეული, თევზი (ქაშაყი თევზი), კანიფოლი, გალეტები, ღორის ქონი, ხილის მაშარაფი და მახორკა. 2 სანივთო საწყობიდან. მოკლე ჩასაცმელი ტყავები, ახალი და ძველი მოთელილი წაღები, წაღები ლურსმიანი, ნალის მოსაკიდებელი (შიპები), წაღების ზეთი, ჩარდახები, საზაფხულო და საზამთრო წვივსაკრავები, პოვოზკები, სხვა და სხვა ჯურის ძველი ბარგის საზიდი ურმები, ტანისამოსის ნაგლეჯები, ქერები და ურმების ღერძის გასაპოხი.

1148. 3—1